



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL



ინტერესთა გამოხატვის თაობაზე საჯარო
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე აკვაპარკის (შემდგომში - აკვაპარკი) პირდაპირი წესით იჯარის ფორმით 10 წლის ვადით განკარგვის მიზნით - იმ პირობით რომ მოიჯარეს ექნება აკვაპარკის ან მსგავსი სფეროს დაწესებულების მართვის სათანადო გამოცდილება, მოიჯარე აკვაპარკის რეაბილიტაციის მიზნით ქონების გადაცემიდან 2 წელიწადში განახორციელებს 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის ღირებულების ინვესტიციას, რაც გაწერილი იქნება შესაბამისი გეგმა-გრაფიკით და მოიჯარეს ჩაეთვლება 10 წლის იჯარის ქირად. მოიჯარე 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის ინვესტიციაზე წარმოადგენს საბანკო გარანტიას; მოიჯარე ობიექტზე კომპანიის მიერ დადებული გარანტიის საფუძველზე დაასაქმებს 30 ადგილობრივ მაცხოვრებელს და მოქალაქეებისთვის უზრუნველყოფს სოციალური პროგრამების განხორციელებას; მოიჯარე 2022 წლის 01 ივლისიდან უზრუნველყოფს აკვაპარკის ყოველწლიურ ფუნქციონირებას; მოიჯარე უზრუნველყოფს ქონების გადასახადის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადახდას; მოიჯარე 10 წლის შემდეგ მუნიციპალიტეტს დაუბრუნებს გამართულ მდგომარეობაში მყოფ აკვაპარკს, რომელიც 3 წლის განმავლობაში იფუნქციონირებს გამართულად და აღნიშნული მიზნით არ დაჭირდება დამატებითი თანხების ჩადება, რაზეც პასუხისმგებლობა ექნება მოიჯარეს. საჯარო ინტერესთა გამოხატვის თაობაზე გავრცელდეს საჯარო განცხადება ვებ-გვერდზე - www.zugdidi.gov.ge, მერიის საინფორმაციო დაფაზე და აკვაპარკის ტერიტორიაზე, განაცხადი გადაეგზავნოს საქართველოში მოქმედ აკვაპარკებს.

პრეტენდენტებისგან განცხადებების მიღების ბოლო ვადად განისაზღვროს 2022 წლის 10 ივნისი, განცხადებების მიღება განხორციელდეს სამუშაო დღის განმავლობაში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.

დაინტერესებულმა პირებმა დალუქული სახით წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია:

- ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობა და საკონტაქტო მონაცემები (იმ შემთხვევაში თუ განმცხადებელი მეწარმეა განახლებული ამონაწერი მეწარმეთა რეესტრიდან);
- ბ) აკვაპარკის ან მსგავსი სფეროს დაწესებულების მართვის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- გ) მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ პირობებზე აკვაპარკის განვითარების მიზნით დამატებითი წინადადებები.

დოკუმენტები წარმოდგენილ იქნეს ქართულ ენაზე. უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. წარმოდგენილი განცხადებების განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა უზრუნველყოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მუდმივმოქმედმა კომისიამ განცხადებების მიღების ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

განცხადებების განხილვა განხორციელდება საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტს მერიაში მის.: ზუგდიდი, შოთა რუსთაველის ქუჩა N90, რის შესახებაც პრეტენდენტების ინფორმირება განხორციელდება მათ მიერ წარმოდგენილი ელექტრონული ფოსტით ან/და წერილობითი ფორმით.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა წარმოადგინონ დალუქული სახით.

